



„ეროვნული მწერლობა“  
თბილისი 2009

## გრიგოლ აბაშიძე

### არყოფნისაკან!



გამოჩენილი ქართველი პოეტის და  
პროზაიკოსის გრიგოლ აბაშიძის 95  
ლიტერატურულ დაკავშირებით განხორ-  
ცირით გამოიცემა ლექსების კრებული  
„არყოფნისაკან“. პირველი გამოცემა  
1994 წლით თარიღდება. პოეტურმა პრე-  
ტურმა იმთავითვე მოიპოვა საყოველ-  
თაო სიყვარული და მოცოვება. გრიგოლ  
აბაშიძის წიგნს „არყოფნისაკან“ მიე-  
იჭა რუსთაველის სახელმწის სახელმ-  
იზო პრემია.

„ეროვნული მწერლობა“  
2009

---

## **შედევრი 80 ლიტოს ასაკში!**

ცხოვრების გრძელ გზაზე გრიგოლ აბაშიძეს არაერთხელ გაუხარებია ქართველი ხალხი თავისი მაღალი შემოქმედებითი მიღწევებით. ქართული პოეზიის მკითხველს დაუკინებრად ახსოვს ბატონ გრიგოლის ძვირფას ქმნილებათა მთელი წეება: „ჯიქთახათუნი“ თუ „ყვავილი სანაპიროსი“, „ჯაჭვგაუხდელი“ თუ „ოცნება უფლისნულისა“, „სვენენება“ თუ „გიორგი მეექვსე“... ოთხმოცს უახლოვდება პოეტი... და ჰა, ჩვენს სიხარულს, როგორც იტყვიან, საზღვარი არა აქვს: ჩვენს ხელთა შესანიშნავი კრებული და გვირგვინი მისი, ახალი ბრწყინვალე ლექსი „არყოფნისაკენ“ — მძლავრი, ამაღლევებელი ორატორია კაცობრიობის მარადიულ საფიქრალზე, სიკვდილსა და ხორცის მტვრადეცევაზე, იმქევეყნიური არსებობის ეჭვსა და სასოებაზე, თქვენ წარმოიდგინეთ, სულისა და ხორცის სამყაროში განზავებისათვის სტოკურ მზადყოფნაზე...

„არყოფნისაკენ, არყოფნისაკენ  
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები,  
გიშურ ქროლვაში გაქრობას ვჩქარობ,  
უკვე გაშლილან იალქანები,  
არარსებულთან შესაერთებლად  
სულმოუთქმელად მივექანები“...

გამომცემელი: თამარ აბაშიძე

რედაქტორი: ვაჟა ოთარაშვილი

ISBN 978-99928-0-159-8

გამომცემლობა „ეროვნული მწერლობა“. 2009.

მაგრამ ეს აჩქარება, ეს თავგანწირული, „სულ-მოუთქმელი“ ლტოლვა არყოფნისაკენ, სიცოცხლისა-გან თავდახსნის ეს თავგანწირული წყურვილი სიბერით როდია გამოწვეული! მსოფლიო ლიტერატურაში და ჩვენს ქართულ პოეზიაშიც არახალია ცხოვრების მინურულის სევდა-ნაღველი მზისქვეშეთის დატოვებისა. გრიგოლ აბაშიძე არ იმეორებს თავისთავად ამ სავსე-ბით კანონიერ სათქმელს, არყოფნისაკენ ლტოლვის, წუთისოფლისაგან გაცლის იმპულსები პოეტის არსება-ში აღძრულია მნიშვნელოვანი მიზეზებით: სამშობლო ქვეყნის ძნელებდობით, სამოქალაქო ომით, ბრიყვული შინააშლილობით, თავისუფლებისათვის ბრძოლის წარ-უმატებლობითა და იმედგაცრუებით, ერთი სიტყვით, გამწარებული არსებობით...

„ამ სოფლის წესი ეს იყო, აღბათ,  
ვინც ამაშენა, მანვე დამშალა!  
მიტომ მასმევდა წვეთ-წვეთად შარბათს,  
რომ ბოლოს მესვა მხოლოდ სამსალა.

და ეს მავიწყებს ყველა სატკივარს,  
გულს ჩამრჩა დარდის ერთი წესტარი, —  
მეც სამარეში ისე ჩავდივარ,  
სამშობლოს საშველს ვერ მოვესწარი!“

კრებულის მშვენებას შეადგენენ ლექსები: „ოდა თავისუფლებას“ და „კოშმარული წინათგრძნობა“, „ნახანძრალ თბილისში“ და „რა დამაძინებს“, „ზღვამ აგრე იცის“ და მრავალი სხვა. გრიგოლ აბაშიძის ლექსე-ბის ახალი წიგნი საერთოდ და განსაკუთრებით კრებუ-ლის დამაგვირგვინებელი ლექსი „არყოფნისაკენ!“ უკა-ნასკნელი წლების თვალსაჩინო პოეტური მიღწევაა. წუ შეგვეშინდება, ეს გახლავთ შედევრი — 80 წლის ასაკში დაწერილი, ყოველგვარი მოდური მანიპულაციებისა და თვითმიზნური წოვაციების გარეშე, სწორედაც გრიგოლ აბაშიძისეული ნაცადი ოსტატობით...

„არყოფნისაკენ!“ — ღმერთმა გვაშოროს, ბატონო გრიგოლ, არყოფნა! ჯერ ერთი, ჭეშმარიტ პოეტს ხომ „არყოფნის“ შემდეგაც „ყოფნა“ უწერია! მინდა მოგილო-ცო ძვირფასი ლექსი და წინასწარ მადლობა მოვახსენო გამომცემლობა „მერანს“, ჩემს ამ მცირე წობათთან ერ-თად, საიუბილეო კრებულის ასე პერატიულად გამო-ცემისათვის. ჩვენი მიზანი იყო ჭეშმარიტი პოეზიისათ-ვის მეტი და მეტი მკითხველის მოპოვება, ჭეშმარიტი პოეტის დროული და ღირსებისამებრ დაფასება.

მურმან ლეგანიძე  
1994

### ოდა თავისუფლებას

ის მოდის ზღაპრულ მშვენებით საკსე,  
ასული ცეცხლის ნგრევის და შფოთის,  
ტყვიერის თქეში გადასდის თავზე  
და დაცემულთა გვამებზე მოდის!

თმებში უბრწყინავს ხანძრების ფერფლი,  
ფეხს რომ აბიჯებს ტყვიით მოცელილთ,  
ვაშას მოსძახის მისივე მსხვერპლი,  
მის ნატერფალზე სისხლის მკოცნელი.

ძირს დამსხვრეული გდია ულელი,  
მაჯებს აჩნია ბორკილის ჟანგი;  
მოდის ამაყად წარპშეუხრელი  
და წინ მოუძღვის ღვთიური ჰანგი.

სანდომიანი და ფეხშიშველი  
მოდის ღვთაების ხელით ნახატი,  
მოდის მიმნდობი და მიმზიდველი  
და შუბლს უმშვენებს სისხლის ნაკადი.

ოცნება ხალხთა, ნატვრა მგოსანთა,  
მოდის, მოაფრქვევს ელვას ტყვიებად...  
მზის ამოსვლას ჰგავს მისი მოსვლა და  
მას ყველაფერი ეპატიება!

1993

ამას მკარნახობს ფიქრიც, შეგნებაც,  
სამყარო ცეცხლში თუ დაინთქმება,  
სიცოცხლეს აზრი მაინც ექნება,  
თუ საქართველო კიდევ იქნება!

გულწრფელად ვამბობ სათქმელს, გულლიად,  
დე, მკრეხელობად ნუ აღიქმება:  
სხვა ყველაფერი წყალს წაულია,  
თუ საქართველო  
აღარ იქნება!

1991

\*\*\*

ამ სოფლის წესი ეს იყო ალბათ,  
ვინც ამაშენა, მანვე დამშალა!  
მიტომ მასმევდა წვეთ-წვეთად შარბათს,  
რომ ბოლოს მესვა მხოლოდ სამსალა.

და ეს მავიწყებს ყველა სატკივარს,  
გულს ჩამრჩა დარდის ერთი წესტარი —  
მეც სამარები ისე ჩავდივარ  
სამშობლოს საშველს  
ვერ მოვესწარი!..

1992

### ფიქრები საქართველოს რუპაზე

შენს რუკას — შენი ბრძოლების სარკეს,  
წენდა და გლეჯდა ბედი წყეული,  
ძონძებს ჰგავს შენი მიწაწყლის თარგი,  
დაფლეთილია შენი სხეული,

ბალ-ვენახიანს, ციხე-ტაძრიანს  
შენს სამხრეთს ხურავს ცა გაუხსნელი,  
მავანს და მავანს მიუტაცნია,  
სხვათა და სხვათა ადგას უღელი.

რაც დღემდის მოგყვა, რაც შეგრჩენია —  
კოდორიანი, ალაზნიანი,  
თუმც შენი ჰქვია, რაღა შენია,  
ისიც გამხდარა სხვათა ზიარი.

მუხას წააქცევს, ლერნამს კი არა,  
პირალესილი ამდენი ცული,  
რა მოგიშუშებს ამდენ იარას,  
რამ მოგირჩინოს ამდენი წყლული!.

და რომ გეხვევა ღრუბელი ბნელი  
შორიდან როგორ გიყურო მშვიდად.  
ნუთუ დამხობა ჩვენს დროში გელის,  
დაუდევრობით შენთავე შვილთა?!

არა, შენ წელში ისევ სწორდები,  
რომ კვლავ წამოდგე ბუკით, ნაღარით,  
ისევ იწევენ მზისკენ ყლორტები,  
შენს ძველ ფესვებზე უხვად ნაყარი.

დიდება ამ დღეს, დიდება ამ დღეს,  
ბორკილი ეგდოს ძირს დამსხვრეული,  
ლაზარესავით, ხვალ ისევ აღდგეს  
დღეს დაფლეთილი შენი სხეული!

1992

\*\*\*

ოცი წლის ბიჭებს ვაცილებ ცრემლით,  
ისინი ჩემი სისხლხორცებია...  
მე რაღად მინდა სიცოცხლე ჩემი,  
როცა შვილები იხოცებიან!

მათ ნაცვლად სიკვდილს ვნატრობ  
ათასჯერ,  
ზეცა ჰქუმს, მიწას გააქვს ზანზარი...

ღმერთო, რა ცოდვის გამო დამსაჯე,  
ღმერთო,  
ამ დღეებს რად მომასწარი!

1992

**რა დამაძინებს**

გადაიარე, შავო ღრუბელო,  
მოთქმავ მიყუჩდი, ცამდის ასულო!  
ვაი დალო და ვაი ჭუბერო,  
ვაი გოლგოთის გზავ, უსასრულო!

ბალებს რა უნდათ ამ ბნელ ღამეში,  
როგორ დაძლევენ ამ გრძელ მანძილებს?!

მე მათი კვნესა ახლაც ჩამესმის,  
რა დამაძინებს,  
რა დამაძინებს!

1994

## თუმც უნაპირო გაქვთ მინა-წყალი

თქვენ მიაღწიეთ მიზანს სასურველს,  
თეთრო ვეშაპო, შავო ურჩხულო —  
ჩვენს მოსასპობად სხვები აღჭურვეთ,  
თავს დაგვახვიეთ ყველა ურჯულო.

შემოგვისიეთ ყველა მზაკვარი,  
სისხლის წყურვილით მხეცი აღანთეთ...  
იწვის ქართველი ბავშვის აკვანი  
და ჩვილის სისხლი ღმერთს შეჰდალადებს!

ქარი ჰქონის, მთებში გზა დათოვლილა,  
ისმის მოთქმა და წყევლას უთვლიან  
მათ, ვინც აქცია მკვიდრი ლტოლვილად  
და ამოძირკვა დედა-ბუდიან.

\*\*\*

თუ წყევლა-კრულვა ხალხების ახდა,  
ნათელი როგორ უნდა იხილოთ?!  
თქვენ საპყრობილე აშენეთ ხალხთა  
და არ გრცხვენოდათ, ვაი, სირცხვილო!

სულ სხვის მიწაზე გეჭირათ თვალი  
და შიშს სთესავდით ხიშტით, შეტევით,  
თუმც უნაპირო გაქვთ მიწა-წყალი,  
მაინც არ გყოფნით და ვერ ეტევით.

კმარა! სისხლიან ხელს ნუღარ იწვდით,  
შველას, მშვიდობას ყველგან ითხოვენ...  
და თქვენც გაძლებით ბოლოს იმ მიწით,  
მიწით, რომელიც შეგჭამთ თვითონვე!

1993

კოშეარული ცინათგრძნობა,  
რომელიც დროდადრო  
სულს მიშვოთებს

„მდინარეთა ზედა ბაბილოვნისათა მუნ დავსხედით  
და ვტიროდეთ... ძენთა ზედა შორის მისსა მუნ  
დაგხეიდენით საგალობელი ჩუენია“...

ფსალმუნი 137

ცხოვრება ჩვენი  
ნუთუ ამით უნდა დამთავრდეს,  
რომ საგოდებლად  
ენისეის პირად ჩამომხდართ  
დამემ მოგვისწროს —  
უსასრულოდ ხანგრძლივმა ღამემ...  
არა, მე იმ დღეს  
ვერ შევხვდები თავდადრეკილი,

ხმაჩანყვეტილ ჩანგს  
მივანარცხებ სისხლისმსმელ მომხდურს  
და თუ დამპყრობელს  
ვერ შევაკვდი, ჩემს ჩანგს კი არა,  
ჩემს ტანჯულ სხეულს  
ჩამოვკიდებ იმ ძენის ტოტზე  
გაჩანაგებულ სულის კარნახით!

1993

### ნახანდრალ თბილისში

თბილისის ზეცას, ღრმას და უძიროს,  
გადაეფარა მწუხრის ზენარი.  
სახლთა ამ ჩონჩხებს როგორ ვუცქირო!  
ამ უბედურ დღეს რად მოვესწარი!

ნაცნობი ქუჩაც, გზაჯვარედინიც,  
თვალდათხრილია და შავად ბოლავს...  
ისევ მოპრუნდა ჯალალედინი?  
ისევ წავაგეთ კრწანისთან ბრძოლა?

არა! კაენის ჰერივის მახვილი,  
ეს ძმისმკვლელს დარჩა კვალი შავბნელი,  
ცას შეპლალადებს სისხლი დაღვრილი,  
უღვთოდ დაღვრილი სისხლი აბელის.

ვაი, ქალქის ძვლებო ბებერო,  
ვაი, დაშლილო ხანძრით, ქვიტკირო!  
რომელი ერთის ფერფლს მოვეფერო,  
რომელი ერთი ძმა დავიტირო?!

და როცა ვწყევლი განხეთქილებას,  
ცრემლიან თვალებს მივაპყრობ ცისკენ...  
დავდივარ,  
მტკივა  
და მეტირება...  
უფალო, გვიხსენ!  
უფალო, გვიხსენ!

1992

**შეამით სავსე თასი**

რაღა ვიღონო, ბედო მსახვრალო,  
ამდენ უბედურს ცრემლსაც ვერ მოვწმენდ.  
რატომ დამტოვე, ღმერთო მაღალო,  
ქართველთა მოდგმის დაქცევის მოწმედ!

დროთა კავშირი გაწყდა უწყვეტი?  
ბედის ტრიალში ვერ გავერკვიე?  
ვისაც შესხმას და ქებას ვუწერდი,  
მე როგორ დავწერ მათთვის რექვიემს!

რა ზარი ისმის, რა ულმობელი!  
ასეთი ზარი ჯერ არ მსმენია.  
შხამით სავსეა თასი, რომელიც  
ბოლომდე ჩემი შესასმელია!

სხვა არჩევანი არც მაქვს, უბრალოდ,  
დღესაც შხამს ვსვამ და ხვალაც შხამს ველი...  
ბოლომდე შევსვამ, რაკი, უფალო,  
არ ამარიდე ეს შესასმელი!

1993

**306 ახსნის!**

ადიდებულმა წყალმა გაგვრიყა,  
გალმა-გამოლმა ვდგავართ ცალ-ცალად.  
თავისუფლებით რომ დავმტკბარიყავ,  
ქვეყნის ანეწვამ არ დამაცალა.

მაინც ვაბიჯებ ცეცხლს ფეხშიშველა,  
მტკივა და მეწვის (არ ვარ იოგი)  
ველარც ლვთისმშობლის კალთამ გვიშველა  
ვერც გვიწინამძღვრა წმინდა გიორგიმ.

იქნებ სიცოცხლე უკვე არა ლირს,  
ვინ გამცემს პასუხს, დარჩენილს სახტად,  
ვინ ახსნის ჩემი ხალხის ხარაკირს,  
როდესაც მისი ოცნება ახდა.

ვინ მეტყვის, რატომ შემომაგება  
შარბათის ნაცვლად ბედმა სამსალა,  
თავისუფლების გემოს გაგება  
წუთისოფელმა რად არ მაცალა!

1994

### გვაპატიებენ?

უდელტეხილებს გავცემ გიუივით,  
ნისლები დაძრა ცრემლების ორთქლმა,  
მზარავს უმწეო ბავშვთა უივუივი  
და ძუძუგამშრალ დედების მოთქმა.

გოდებად უძღვის მათ გრძელ ქარავანს,  
ნყევლა ანმყოსი, გმობა წარსულის,  
და ჩემს ბედს ვყველრი, ბრმა რომ არა ვარ,  
ყრუ რომ არა ვარ სმენადახშული.

აივი მზერა მდევს გაყინულების,  
არსად ვარდები, არსად იები...

— გვაპატიებენ მათი სულები?  
— არ გვაპატიებენ!

1994

### ვერ შემაძულებ!

სიბნელევ, საქართველოს ცაზე დაძრულო,  
მაკმარე, ნუ მისევ ავსულებს,  
ნუ ცდილობ სამმობლო შემაძულო,  
ვერ შემაძულებ!

მე უკუნს იქითაც ვხედავ ცისკარს,  
თუმცა მშობლის კვნესა მესმის გამუდმებით,  
რაც უფრო მებრალება, მით უფრო მიყვარს,  
მე მის სიყვარულს ვერ განვუდგები.

გასრულდი, ქარიანო ნოემბერო,  
სამშობლოვ, განერიდე ბნელს და ბოროტს...  
მიმიშვი, შენს წყლულებს მოვეფერო,  
მაცალე,  
შენს იარებს ვეამბორო!

1994

**არ თქვა, აღარ გამაგონო!**

მეორდება ისტორია,  
დღევანდელს ჰგავს გარდასული,  
რახან ბევრი გვიცხოვრია,  
ნუთუ დგება დასასრული?!

არა! არ თქვა დავპერდითო,  
ნუ მაჯერებ, რაც არ მჯერა,  
არ მნამს სიტყვა ავბედითი,  
რომ ჩამდახონ ათასჯერაც!

ვიცი, რომ ეგ აღსარება,  
როგორც ზოგ-ზოგს ადრე, წინათ,  
გათქმევინა გამნარებამ,  
სიყვარულმა გათქმევინა.

თუ არ გინდა დამალონო,  
დაბერება არ თქვა ჩვენი,  
მეტი აღარ გამაგონო  
ეს სასტიკი განაჩენი.

ვერ გავივლებ მაგ ფიქრს გულში...  
უკვდავების ჯილისანი,  
ჩვენ ხომ ვაჟა გვყავდა გუშინ,  
გუშინ გვყავდა ფიროსმანი.

ხომ ბრუნავდა ცაში ძერა,  
ჩვენ რომ გულ-ღვიძლს გვიკორტნიდა,  
მაგრამ გუშინ დაინერა,  
სწორედ გუშინ „ნიკორწმინდა“.

სიცოცხლის ხე თუმც ძველია,  
დროის ხავსი არ ედება,  
მას არასდროს უწერია  
სიკვდილი და დაბერება!

1993

### ორგვარი სინაული

გვიან მივხვდი: ყოველი,  
ცუდიც, კარგიც მოაქვს დროს.  
ჩემს ბედს ვგმობდი, რომელმაც  
შენს დაცემას მომასწრო.

ახლა სინანულსა მგვრის  
ნაღვლიანი ფიქრები:  
შენ რომ ალორძინდები,  
მე ხომ აღარ ვიქნები!

მე მივდივარ, შენ გტოვებ,  
თითქმის სასომიხდილად.  
შენ ალდგები, მაგრამ მე...  
მე შენ ველარ გიხილავ!..

1994

### ახაოების მატარებელი

ცხოვრების ეტლის სადარებელი  
საცაა გავა შატარებელი  
გალაკტიონი

ჩქარი ყოფილა, საოცრად ჩქარი,  
ჩემი ცხოვრების მატარებელი!  
ისე უეცრად გასცდა ჩემი დანიშნულების  
სადგურს,  
რომ ჩასვლაც ვერ მოვასწარი.

თანამგზავრთაგან  
აღარა ჩანს უმრავლესობა,  
ჩემს შეუმჩნევლად  
ამოსულან სულ სხვა მგზავრები  
და ვწუხვარ, ასე რატომ დავყოვნდი  
ამაოების მატარებელში...

1993

\*\*\*

ნუთუ ბოლომდე ბოროტს დანებდი,  
 კერპებს, ბომონებს სახავ ღმერთებად?  
 ისე დაჩლუნგდი, ისე დაბნელდი,  
 მე შენთვის  
 ფურთხიც არ მემეტება!

1992

შევყურებ უტყვი და შუბლშეკრული,  
 რა ძალა იყო, ნეტავ, ეგ ძალა,  
 შენ რომ დაგცა და ისე შეგცვალა,  
 რომ შენი შვილიც ვერ გცნობ ბედკრული.

ყველა სიკეთე სიავედ გექცა,  
 ღვარძლით, სიბრმავით და უნიჭობით  
 ბნელ ბოროტების ზღვაში ვიხრჩობით,  
 განწირულები სატანის კერძად.

ლამის დავკარგო რწმენა შენი გზის,  
 გული ჯავრისგან შემომეფლითა...

და სადღაც მაინც მჯერა, ფერფლიდან  
 შენ კვლავ აღდგები, როგორც ფენიქსი!

1993

### თვალი ცხარით, გული ძგარით

თუ ვღონდები, რალად ვმღერი,  
მთმენი ჭირთა ათასფერთა?!

ვერ გავაძლე თვალი ცქერით,  
გული ძგერით არ დაბერდა.

საგალობელს უწყობს კილოს  
ცალკე გული, ცალკე თვალი,  
გაღვივებას კიდევ ცდილობს  
ფერფლწაყრილი ნაღვერდალი.

ისევ ელის აფეთქებას,  
ისევ ელის ახალ ელდას...  
და სიმღერაც არ ბერდება,  
რაკი გული არ დაბერდა!

1992

### ზღვამ აგრე იცის

ზღვამ აგრე იცის  
ქარიშხალი ყალყზე შედგება,  
აიჯაგრება და  
მრისხანედ დაიგრაგნება,  
ამოყრის ყველა სიბინძურეს  
სიღრმეში დანთქმულს  
და გეგონება  
თვითონ ფსკერი ამოტრიალდა.

ზღვამ აგრე იცის,  
ქარიშხალი როგორც ჩადგება,  
დაცხრება ღელვაც  
და გაქრება ტალღებთან ერთად  
ქაფი და ჭუჭყი,  
ზედაპირზე ბოლმად მომდგარი.

ზღვამ აგრე იცის,  
დამშვიდდება ქარიშხლის შემდეგ,  
განებივრებულ კატასავით  
ფეხქვეშ გაწვება  
და განაახლებს მომხიბლელად  
ლაჟვარდი ლივლივს.

და რომ ჩახედავ  
გამჭვირვალე, კამკამა სიღრმეს,  
ისევ ბავშვივით დაიჯერებ,  
რომ ფსკერზე, მართლა,  
მარტო მარჯნის და  
მარგალიტის საუნჯენია.

ზღვამ აგრე იცის,  
თურმე ხალხსაც აგრე სცოდნია,  
ქარიშხალივით აიშლება;  
ყალყზე შედგება,  
სულში დალექილ სიბინძურეს  
გაცოფებული  
ამოყრის მაღლა  
შემზარავად, გულისამრევად...

და როცა ნგრევით  
გულს იჯერებს, გაოგნებული,  
დაცხრება, ისევ  
ძველ სიმშვიდეს დაუბრუნდება,  
და, რაც მშვენება ჰქონდა ადრე,  
ერთიათასად  
გამოაბრწყინებს  
მთელი ქვეყნის თვალგასახარად.

ზღვამ აგრე იცის,  
თურმე ხალხსაც აგრე სცოდნია...

1993

\*\*\*  
 ჩემი გზა, გრძლად რომ ვსახავდი, ოღონ-  
 ჩოლრო ყოფილა, სულ ერთი ციდა...  
 რა ცოტა რჩება ამ ხელებს ოქრო,  
 ამ თითებს, ამდენ სილას რომ ცრიდა.

მაინც ვქრები და მაინც ვენთები,  
 ლვთიური ცეცხლი კიდევ მქონია...  
 ოლიმპზე ისევ სხედან ღმერთები,  
 მოკვდავთა მადლს და ცოდვებს წონიან.

აწონონ! ჯილდოდ მეყოფა ისიც,  
 ჩემი სიტყვის და ჩემი საქმისა,  
 მათი ხსენების თუ გავხდი ღირსი,  
 ერთმა თუ მაინც მომისაკლისა,

თუ გამინათეს გზა ოღონ-ჩოლრო,  
 თუ გავიგონე მათი ხმა ციდან...  
 ცოტა ხომ რჩება ამ ხელებს ოქრო,  
 ამ თითებს,  
 ამდენ სილას რომ ცრიდა.

1991

\*\*\*

დაჰკრა უამმა და უკანასკნელი  
 გზის დასასრულიც თითქმის განაღმა,  
 თავს აღარ ვაქნევ, როგორც ასკილი,  
 და ყველაფერზე არ ვარ თანახმა.  
 მაგრამ დინებას მაინც მივყვები,  
 თუმც თვალს არ ვხუჭავ  
 კლდეს რომ ვაწყდები  
 და მომჟივიან უკან სიტყვები —  
 წამოფრენილი ჩემი ბარტყები.

მათ ეშინიათ გზიდან აცდენის,  
 (მათ გზაზე ვარდი არვინ დაფინა),  
 მე მათგან ზოგი მაინც გავწვრთენი  
 და მათთან ერთად ცაში დავთრინავ.  
 გასულა დრო და უკანასკნელიც  
 განაღმულია გზის დასასრული,  
 თავს აღარ ვაქნევ, როგორც ასკილი,  
 და ვგრძნობ, ნაპირზე ჯერ არგასული,  
 რომ, ცეცხლის რკალით შემოგარსული,  
 ჩემი დროც უკვე არის წარსული!..

1991

### სიცდისის განაჩენი

იჯდა ქრისტე და, მდუმარე დიდხანს,  
სილაზე თითით როლაცას წერდა,  
ჩაქოლვის დასტურს ელოდნენ მისგან.  
და არ ცხრებოდა ყაყანი მტერთა.

შუაში იდგა ტურფა ასული,  
შიშით ელოდა სასტიკ ბრძანებას,  
ნამით შეირხა ფიქრში წასული  
ქრისტე და წერას თავი ანება.

— ამ ქალს, საჯაროდ, მრუში უწოდეს, —  
თვალს ავლებს იქ მყოფთ, გულთამხილველი, —  
ნება აქვს მხოლოდ ყოვლად უცოდველს,  
ქვა რომ ესროლოს ცოდვილს პირველი.

და ყველამ ჰკითხა სინდისს ნებართვა —  
თუ აქვს უფლება, ტყორცნა ითავოს?  
ქვის სროლად ხელი ვერვინ შემართა,  
უხმოდ გაშორდნენ მსხვერპლს სათითაოდ.

ეს განაჩენი დღეს რომ გვსმენოდა,  
სულით მაღალის და გულით წმინდის —  
ცოდვილს პირველი ცოტა ესროდა?  
ბევრი ჰკითხავდა ნებართვას სინდისს?

1991

**ვალი**

წლების ფანტელი რაც უფრო მათოვს,  
რაც თავდალმართის დასასრულს ველი,  
თვალს ვერ ვუსწორებ შანდორს და ტატოს,  
მზერას ვარიდებ დარცხვენით შელლის.

ხანდაზმულობას სულ ვერ ვიფერებ,  
თუმცა დიდი დღეც ბეჭის ძლვენია  
და რომ გრძელდება ჩემი სიბერე,  
ლერმონტოვის და კიტსის მრცხვენია.

თვალს ვერ ვუსწორებ შანდორს და ტატოს,  
ვისი სიტყვა და ლექსიც მემართა...  
ვალის გადახდა მათოვის მეც მმართებს,  
რაკი მათი დღე მეც მომემატა.

უნდა ვიხადო დღესაც და ხვალაც,  
რაკი სიცოცხლეს ვეღარ ვეხსნები,  
რაკი დაწერა მეც მადევს ვალად  
დაუწერელი მათი ლექსების.

და ვიდრე გამსრესს სიმძიმე ვალის,  
მიჯობს, ჩემთვისაც დროზე დაღამდეს,  
თორემ როდემდის ვარიდო თვალი  
მათ, ვისი დღითაც ვცხოვრობ აქამდე.

1991

### უსამართლობა

გაზაფხულს ხეთა ჯარიც თან ახლდა, —  
ტყეს სად ჩააცვა მწვანე წერილთვალა?!  
ხედავ, ბუნება ისევ განახლდა,  
მთა-ბარმა ფერი ისევ იცვალა!

იქუხა ცამ და ღელე ღრიალით  
მოვარდა ყალყზე შემდგარ ზვირთებით;  
ცეცხლის გამჩენი, ნაკვერცხლიანი,  
ატმის ტოტებზე დასკდნენ კვირტები.

ისევ გალობად დასხდნენ ფრთოსნები,  
ყაყაჩოს შავი შვერის ხალები;  
ყველას დაუდგა უამი ოცნების,  
განახლების და ფერისცვალების.

შენც სიჭაბუკე უკანვე იხმე,  
მაგრამ ვაი, რომ დრო სჯის სხვაგვარად;  
არ დაბრუნდება განვლილი სიყრმე,  
არ გაშავდება შენი ჭალარა...

ცეცხლი სისხლს აღარ აახმიანებს  
და ნანობ, როცა ასაკში შეხველ,  
რომ გაზაფხული ადამიანებს  
ცხოვრების გზაზე ეკუთვნის ერთხელ...

იმ ერთისთვისაც უფალს მადლობა, —  
განვლილზე აღარ გვმართებს გოდება...

და მაინც არის უსამართლობა,  
რომ სიყმანვილე  
არ მეორდება.

1992

\*\*\*  
 როგორც ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყები,  
 უმწეონი და შეუბუმბლავები,  
 ნუთისოფლის უნესრიგობას რომ ვაწყდებით,  
 გვიკვირს,  
 როგორ ვუმკლავდებით!

არყოფნის შვილებს ბევრი რამე გვეუცხოვება,  
 ღვთის იმედად ვართ, მხოლოდ და მხოლოდ...  
 სულ ასე მიდის უთავბოლოდ ჩვენი ცხოვრება,  
 უსასრულობას  
 რადგან არა აქვს თავი და ბოლო.

1993

\*\*\*  
 ვინ მოგისაჯა სულ ჩრდილი, ჩრდილი...  
 გზა ეკლიანი და უსასრულო?!

სულ ბეწვის ხიდზე როდემდის ივლი,  
 ყოფნა-არყოფნის ჯვარზე გაკრულო?!

რად ვერ ამაღლდი, სიკვდილს რომ სძლევდი,  
 სისხლით რომ რწყავდი  
 მთაბარს, ველმინდორს?!

ბედუკულმართი ეგ შენი ბედი  
 სულ ბეწვზე როგორ უნდა ეკიდოს?!

რად ვერ დათრგუნა უკუნი შუქმა,  
 როდემდის უნდა გვცდიდე, იღბალო?!

მე დავიღალე და ღმერთმა ნუ ქნას,  
 შენც, საქართველოვ,  
 შენც დაიღალო!

1994

### დმართვა შემინდოს!

სიტყვა სატევრად უნდა გექცია,  
თუ ალშფოთებით გული გაქვს სავსე.  
რა დროს ლექსია! რა დროს ლექსია!  
როცა ქვეყანა გექცევა თავზე.

თვალზე ცრემლები როგორ შევიშრო,  
რა დღე დაგვიდგა, რა სამწუხარო!  
მე ჩემი ლექსი საიერიშოდ  
ძმათაგან რომელ ძმას წავუმძღვარო!

სიკვდილი იმედს ხელიდან გვაცლის,  
მოკლულებს ფანტავს ნაფოტივითა,  
ამდენი გესლი, ამდენი ღვარძლი  
სად იყო, როგორ ამოტივტივდა?!

მკვლელის თვალები სისხლს აუვსია,  
და სისხლი მოსწვეთს მკვლელის იარაღს.  
ძმა ძმის საკლავად ვინც გაუსია,  
ზიზღი ეკუთვნის, ლექსი კი არა!

ცა და ქვეყანა თავზე გვექცევა  
და სინანული მეც მეუფლება...  
რა მელექსება! რა მელექსება!  
ღმერთმა შემინდოს ეს ჩვეულება!

1992

\*\*\*

ცხოვრება მკაცრი და სასტიკია,  
მე კი თვალებზე ბინდი მეფარა...  
მისი ფეხის ხმაც არ გამიგია,  
სიბერე ისე წამომეპარა.

ნიაღვარივით უცებ გავარდა  
ჩემი წილი დრო, კი არ გავიდა...  
არც მომავლისგან ველი სამართალს,  
არც მსურს გავლილის გავლა თავიდან.

1991

**ფა-ფუ**

ხელისგულიდან ყვავილის ფურცლებს,  
თუ თოვლის ფანტელს ფაფუკს,  
სულის შებერვით შენ აქრობ უცებ  
და შემომძახი: ფა-ფუ!

მალე, ვით ზღვაში დაფლეთილ აფრას,  
ქარი დაჰბერავს ბაბუს...  
ხელისგულივით დახედავ საფლავს  
და ჩუმად იტყვი: ფა-ფუ!..

1991

\*\*\*

გაქრა ოთხმოცი წელიწადი,  
 დადნა წამებად,  
 არც გათენება მიხარია,  
 არც დაღამება!  
 სიცოცხლე გრძელი რომ მეგონა,  
 მოკლე ყოფილა,  
 მოკლე ყოფილა —  
 თვალის ერთი დახამხამება.

სიკვდილის ლანდი ძუ მგელივით  
 მომდევს ძუნძულით,  
 სად გავექცევი, წლების ტვირთით  
 მხრებდახუნძლული,  
 სულ მალე ფეხის დასადგმელიც  
 აღარ დამრჩება,  
 არყოფნის ზღვაში იძირება  
 ჩემი კუნძულიც.

რომ მკითხონ: გრძელ გზას  
 დაიწყებდი ისევ თავიდან?  
 ღმერთმა მაშოროს,  
 გადმოვუხტე ქარონს ნავიდან!  
 მე ჩემს წილ ტკივილს, ჩემს წილ წყენას  
 არვის ვუსურვებ,  
 რაც ჯავრი მქონდა,  
 სამარეშიც ჯავრად ჩავიტან.

დამძიმდა ტვირთი,  
 წლების ზიდვა გახდა წამება,  
 არც გათენება მიხარია,  
 არც დაღამება,  
 სიცოცხლე გრძელი რომ მეგონა,  
 მოკლე ყოფილა,  
 მოკლე ყოფილა —  
 თვალის ერთი დახამხამება!

1992.

### უკანასკნელი სათხოვარი

უფალო, ყური მოაპყარ ჩემკენ,  
თხოვნა მაქვს მცირე და უმნიშვნელო,  
რაკი არ მკითხე და ისე შემქმენ,  
რას იზამ, შენვე უნდა მიშველო.

მე დავიცალე რჩეულ სიტყვებად,  
მათ ვტოვებ, როგორც წმინდა ნაწილებს,  
მგონი არც ვინმეს ვალი მიმყვება,  
არც წყევლა-კრულვით ვინმე მაცილებს.

მათუსალობის არ ვარ მდომელი,  
სიკვდილშიც არვინ არ მეცილება,  
ვიცი, გარდაქმნა ბევრჯერ მომელის,  
ბევრი მომელის სახეცვლილება.

წინ გრძელი გზა მაქვს ბნელით მოცული,  
უსასრულო და უსწორ-მასწორო,  
ფრთოსნად, ბალაზად, წვიმად მოსული,  
მშობელ ქვეყანას არ მომაშორო.

აქ დავასვენებ ჩემს დაღლილ სხეულს,  
სადაც მის მცველად უნდა ვმდგარიყავ,  
ფრინველად ქცეულს, მცენარედ ქცეულს,  
საქართველოდან ნურსად გამრიყავ.

ჭურჭლად, რაც გინდა მიეცი ჩემს სულს,  
როგორც სიმაღლის ნატვრა მთამსვლელებს,  
მე თვით სამოთხის ნათელშიც შესულს  
სამშობლოს ნატვრა არ მომასვენებს.

როცა ქართულ ცას თვალს ვეღარ მოკრავს,  
ვიცი, არ უნდა ამას მისნობა,  
ჩემს სულს სამშობლოს სიშორე მოკლავს,  
როგორც ჰაერის უკმარისობა.

და თუ გამიღებს კარს მაცხოვარი,  
ყოვლის შემნდობი რისხვის გარეშე,  
მე ერთადერთი მაქვს სათხოვარი —  
„იქაც“ მამყოფოს მშობელ მხარეში!..

1992

და მე შენდობის ღირსი თუ არ ვარ,  
 ქარს გაატანე ჩემი ლოცვანი...  
 მივყვები დღეთა გადათვლილ ქარვას,  
 გასრულდა  
 ჩემი კრიალოსანი.

1992

\*\*\*

ლმერთო, იქნება მე ღირსიც არ ვარ,  
 რომ მოგაწვდინო ცაში ლოცვანი.  
 მივყვები დღეთა გადათვლილ ქარვას,  
 გასრულდა ჩემი კრიალოსანი.

ჩემი სანთელი ჩემ თვალწინ ქრება,  
 ვაი, რომ ზოგჯერ შენთვის არ ენთო!  
 მე სულ ვამბობდი სიცოცხლის ქებას,  
 სიკვდილთან ცოტა მქონდა საერთო.

მომეც ძალა და მომმადლე რწმენა,  
 ეშმაკის ძლევად და საზიანოდ,  
 ალსარებისთვის ამიდგი ენა,  
 შენს საიდუმლოს რომ მაზიარო.

### არყოფნისაკენ!

არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!  
 ჩემს გასათრენად ქრიან ქარები,  
 გიურ ქროლვაში გაქრობას ვჩეარობ,  
 უკვე გაშლილან იალქანები,  
 არარსებულთან  
 შესაერთებლად  
 სულმოუთქმელად მივექანები,  
 თავის სამშობლოს ვინც გაქცევია,  
 თავს რით იმართლებს, ან რა კაცია,  
 მაგრამ ქვეყანას, როცა ღვარძლი სჭამს  
 და სიყვარული სულაც გაცლია,  
 როგორ იცხოვრებ უსიყვარულოდ,  
 სულის ამოსვლას არ დაგაცლიან.  
 ჰოდა, ამ ჩემი ლტოლვის მიზეზი  
 ვინ მოთვლის, რაა და რამდენია!  
 მე სიხარულიც ბევრი მინახავს,  
 სისხლის ცრემლებიც ბევრჯერ მდენია,  
 ბოლოს სიბერე სულ გამიმწარდა,  
 ქვეყნად ერთი დრო ვის შერჩენია!

და მე ალარ მსურს ისე ვიარო  
 ამ ქვეყნად, როგორც დლემდე მივლია,  
 სულაც არ ვნატრობ ედემში ყოფნას,  
 ვარდებს, ბულბულებს და იდილიას,  
 არყოფნა მინდა, რაც თავისთავად,  
 არც სიცოცხლეა, არც სიკვდილია!

არც ჯოჯოხეთის გვერდის ავლა მსურს,  
 არც სამოთხეში შესვლა დიდებით,  
 მე სატანჯველის ცეცხლი არ მაკრთობს,  
 არც მაშინებენ ბეწვის ხიდები,  
 არც განკითხვის დღის სამსჯავროს ვუფრთხი,  
 პასუხისმგებას არ ვერიდები.

იქ სადარდელი არ მელოდება,  
 არც რამ სიამე და სალბუნება,  
 შური და ბოლმა იქ არ იქნება,  
 არც უზნეობის სხვა რამ ცოტუნება,  
 არც სხვა რამ ვნება, რაც აშფოთებდა  
 ჩემს არსებას და კაცურ ბუნებას.

იქ არც ხმლიანი დგას ანგელოსი,  
ცოდვილებს შვების კარს რომ არ უდებს,  
არც ჩამაგდებენ მდუღარე კუპრში,  
არც დამადებენ რეინის მარწუხებს,  
ავის და კარგის მოგონებებით  
მეხსიერება არ შემაწუხებს.

იქ ჩემს მისვლასაც ვერვინ შეიტყობს,  
ვერც შემოსასწრებს ჩემსას შესვამენ,  
ალერსით არვინ მომეგებება,  
არავინ მეტყვის: „შენი კვნესამე!“.  
ალარც სიცოცხლე, ალარც სიკვდილი,  
მე რაღაც სულ სხვა მინდა — მესამე!

არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!  
ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები,  
გიუურ ქროლვაში გაქრობას ვჩქარობ,  
უკვე გაშლილან იალქანები,  
არარსებულთან  
შესაერთებლად  
სულმოუთქმელად მივექანები,

გაქრობა მინდა, არარად ქცევა,  
არყოფნა მინდა, დადგა ამის დრო.  
არავითარი ზესთასოფელი,  
არავითარი სულთა სამკვიდრო,  
არც მიფიქრია — სიცარიელე  
ან დავაქციო ან გავამდიდრო.

იქ დრო არ იძვრის გაჩერებული,  
ერთმანეთს არ ცვლის ზაფხულ-ზამთარი,  
უცნობ პლანეტებს ქროლვით ჩავუვლი,  
ქუდმოხდილი და ფეხზე ამდგარი,  
მაგრამ სანთლის ფრთებს მე ვერ ვენდობი  
ის ახლაც მტკიცა მხრებზე დამდნარი.

იკარუსივით ვერ გავფრინდები,  
ვერც ზღაპრის ფრთოსან რაშის ჭენებით,  
ვერც მაგელანის გემებს გავყვები,  
იმ მეზღვაურებს ვერ ვეჩვენები,  
ოკეანეში რომ ინთქმებოდნენ  
ახალი გზების აღმომჩენები.

არყოფნისაკენ! არყოფნისაკენ!  
 ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები,  
 გიუჟურ ქროლვაში გაქრობას ვჩეარობ,  
 უკვე გაშლილან იალქანები,  
 არარსებულთან  
 შესაერთებლად  
 სულმოუთქმელად მივექანები,

დე, დამიბრმავოს თვალები ელვამ,  
 იქუხოს ცამ და მეხმა იჭექოს,  
 მე იმ ქროლვაში გაოგნებული,  
 ვერ გავიგონებ ამ ქვეყნის ექოს,  
 მე დღემდე უცნობ საწვავზე ვფიქრობ,  
 ჩემს უსასრულოდ გრძელ გზას რომ ეყოს.

მეტეორების თქეშშიც რომ მოვხვდე,  
 ალარ ვიზრუნებ თავდასაცავად,  
 გაუკვლეველი გზის გასაკვლევად  
 სხვა ძალას ვცდი და ჩავრთავ სხვა ძრავას —  
 ჩემს ხორცშეუსხმელ ლამაზ ოცნებებს  
 უხვად დაეხარჯავ საგზალ-საწვავად.

იმ ოცნებების ძალით გამაფრენს  
 ის ცეცხლი გულზე რომ მიკიდია,  
 არარაობის ბოლო სადგური  
 არარსებული ქვეყნის კიდეა,  
 მანძილი დიდი მაქვს გასავლელი,  
 მაგრამ სურვილი — უფრო დიდია!

და აი, უკვე, არყოფნისაკენ  
 სულმოუთქმელად მივექანები,  
 გიუჟურ ქროლვაში გაქრობას ვჩეარობ,  
 შავად გაშლილან იალქანები,  
 არყოფნისაკენ!  
 არყოფნისაკენ!  
 ჩემს გასაფრენად ქრიან ქარები.

## სარჩევი

მურმან ლებანიძე — შედევრი 80 წლის ასაკში!	
(ნინასიტყვა) .....	5
ოდა თავისუფლებას .....	8
* (ამას მკარნახობს...) .....	10
* (ამ სოფლის წესი ეს იყო ალბათ...) .....	11
ფიქრები საქართველოს რუკაზე .....	12
* (ოცი წლის ბიჭებს ვაცილებ ცრემლით) .....	14
რა დამაძინებს! .....	15
* (თუმც უნაპირო გაქვთ მნა-ნყალი...) .....	16
კოშმარული წინათვრძნობა .....	18
ნახანძრალ თბილისში .....	20
შხამით სავსე თასი .....	22
ვინ ახსის! .....	23
გვაპატიიბებ? .....	24
ვერ შემაძეულება! .....	25
არ თქვა, აღარ გამაგონო! .....	26
ორგვარი სინაწული .....	28

ამაოების მატარებელი .....	29
* (ნუთუ ბოლომდე ბოროტს დანებდო?!) .....	30
და მაინც მჯერა .....	31
თვალი ცქერით, გული ძერით .....	32
ზღვამ აგრე იცის .....	33
* (ჩემი გზა) .....	36
* (დაჰკრა უამმა და...) .....	37
სინდისის განაჩენი .....	38
ვალი .....	40
უსამართლობა .....	42
* (როგორც ბუდიდან გადმოყრილი ბარტყები...) .....	44
* (ვინ მოგისაჯა...) .....	45
ღმერთმა შემინდოს .....	46
* (ცხოვრება მკაცრი...) .....	48
ფა-ფუ .....	49
* (გაქრა ოთხმოცი...) .....	50
უკანასკნელი სათხოვარი .....	52
* (ღმერთო იქნება...) .....	54
არყოფნისაკენ .....	56

**გრიგოლ გრიგოლის ძე აჩაშიძე**

**არყოფნისაკენ**

**ლექსები**

(მეორე გამოცემა)

**დაკაბადონება:** სალომე პაიჭაძე  
**ოპერატორი:** თამარ ტყაბლაძე

დაიბეჭდა „ეროვნული მწერლობის“  
სტამბაში. მხატვრის ქ. 4  
ტელ: 31-70- 47  
32-73- 62

E-mail:

[litandart@yahoo.com](mailto:litandart@yahoo.com)

[vaja.otarashvili@yahoo.com](mailto:vaja.otarashvili@yahoo.com)